

2019 წელი

აგრომეტეოროლოგიური ბიულეტენი

№31 ნოემბრის პირველი დეკადა



გამოდის 1931 წლიდან

გარემოს ეროვნული სააგენტო

სარჩევი

დეკადის ძირითადი მეტეოროლოგიური თავისებურებანი.....	2
სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა-განვითარებისა და მინდვრის სამუშაოების ჩატარების აგრომეტეოროლოგიური პირობები	
2019 წლის ნოემბრის პირველი დეკადის მეტეოროლოგიური მონაცემები	3
აღმოსავლეთ საქართველო.....	
დასავლეთ საქართველო.....	13



დეკადის ძირითადი მეტეოროლოგიური თავისებურებანი

ნოემბრის პირველი დეკადა დასავლეთ საქართველოში ძალზე თბილი, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ზომიერად თბილი და ნალექიანი ამინდით ხასიათდებოდა.

ჰაერის საშუალო დეკადური ტემპერატურა მრავალწლიურ მაჩვენებელთან შედარებით დასავლეთ საქართველოში 2° (მხოლოდ ზუგდიდში 4°) მაღალი, აღმოსავლეთ საქართველოში კი ნორმასთან ახლოს აღმოჩნდა და შეადგინა: $10-15^{\circ}$ დასავლეთ საქართველოში, $7-10^{\circ}$ აღმოსავლეთ საქართველოს ბარში, $3-6^{\circ}$ აღმოსავლეთ საქართველოს მთიან და მაღალმთიან რაიონებში.

ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში $23-27^{\circ}$, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში $18-22^{\circ}$, აღმოსავლეთ საქართველოს მთიან და მაღალმთიან რაიონებში $18-21^{\circ}$ -ის ფარგლებში მერყეობდა.

ჰაერის მინიმალური ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში $5; -3^{\circ}$, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში $2; -3^{\circ}$, აღმოსავლეთ საქართველოს მთიან და მაღალმთიან რაიონებში $-3; -9^{\circ}$ -ის შუალედში ფიქსირდებოდა.

ნალექები განვლილ დეკადაში საქართველოში 2 დღის განმავლობაში მოდიოდა და მათი ჯამი ასე განაწილდა: 28-76მმ (მრავალწლიური ნორმის 71-110%) დასავლეთ საქართველოში, 5-36მმ (მრავალწლიური ნორმის 45-189%) აღმოსავლეთ საქართველოში.

ძლიერი ქარი (15 მ/წმ და მეტი სიჩქარით) ქროდა 3 დღის განმავლობაში ქვეყნის ცალკეულ რაიონში.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზამთრობისა და მინდვრის სამუშაოების ჩატარების აგრომეტეოროლოგიური პირობები

დასავლეთ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები კარგ პირობებში მიმდინარეობდა განვლილ დეკადაში ციტრუსების დამწიფებისა და ნაყოფში შაქრის დაგროვებისათვის კარგი პირობები იყო.

აღმოსავლეთ საქართველოში მინდვრის სამუშაოების ჩასატარებლად დამაკმაყოფილებელი პირობები იყო. შიდა ქართლში დაფიქსირებული $-2; -3^{\circ}$ ტემპერატურა უარყოფითად იმოქმედებდა დაუკრეფავ ბოსტნეულზე, საშემოდგომო ხორბლზე კი აღმონაცენის წაწვას გამოიწვევდა.

მთიან ზონაში მინდვრის სამუშაოები დასასრულს უახლოვდება.

აღმოსავლეთ საქართველოს ზამთრის სამოვრებზე საქონლის ძოვებისთვის კარგი პირობები იყო.







2019 წლის ნოემბრის პირველი დეკადის მეტეოროლოგიური მონაცემები



სადგური	ჰაერის ტემპერატურა C°				მინიმალური ტემპერატურა ნიადაგის ზედაპირზე	ნალექები			ნალექიან დღეთა რიცხვი		დღეთა რიცხვი ქართ 15 მ/წმ და მეტი სიჩქარით	ჰაერის საშუალო დეკადური შეფარდებითი ტენიანობა, %
	საშუალო დეკადური	გადახრა ნორმიდან	მაქსიმალური	მინიმალური		რაოდენობა მმ	რაოდენობა ნორმიდან %-ში	დღეღამური მაქსიმუმი	1 მმ და მეტი	5 მმ და მეტი		
ქობულეთი	13.5	1.5	24	4		76	95	61	2	2		
ზუგდიდი	15.4	3.8	28	5		50	98	32	2	2		
ქუთაისი	14.9	2.3	26	5	3	33	71	21	2	2	3	53
ზესტაფონი	13.7	2.0	25	5		45	104	27	2	2		
საჩხერე	10.5	2.0	27	-3		31	110	18	2	2		
ამბროლაური	10.3	2.2	23	1		28	96	15	2	2		
ხაშური(აგარა)	7.4	0.4	22	-2		14	63	10	2	1		
გორი	7.8	0.2	22	-3	-4	17	94	16	1	1	3	78
თიანეთი	5.3	0.2	20	-3		12	60	10	2	1		
ფასანაური	5.8	0.4	18	-4		32	145	24	2	2		
თბილისი	9.8	0.2	22	2	-4	13	100	13	1	1		72
საგარეჯო	8.6	0.4	18	2		38	165	37	2	1		
დედოფლისწყარო	7.5	0.2	20	1		22	122	12	2	2		
თელავი	9.4	0.4	20	2		36	189	28	2	2		
ლაგოდეხი	9.4	-0.4	19	-2		32	103	24	2	2		
ბოლნისი	9.5	0.4	20	2	-3	12	75	12	1	1		59
ახალციხე	5.2	-0.3	20	-5	-6	5	45	4	2			72
წალკა	3.9	0.3	21	-8		13	81	11	2	1		
ახალქალაქი	3.4	0.4	20	-9		9	69	8	2	1		







აღმოსავლეთ საქართველო







































დასავლეთ საქართველო














კახეთის რეგიონში განთავსებული ავტომატური სადგურების
აგრომეტეოროლოგიური ინფორმაცია




სოფ. ხორნაბუჯი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი




სოფ. ზემო ქედი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი




საგარეჯოსთან - საგარეჯოს მუნიციპალიტეტი




სოფ. შალაური - თელავის მუნიციპალიტეტი




სოფ. შილდა - ყვარელის მუნიციპალიტეტი



სოფ. ნაენდროვალი - ლაგოდების მუნიციპალიტეტი



სოფ. ილიაწმინდა - სიღნაღის მუნიციპალიტეტი



სოფ. ქისტური - ახმეტის მუნიციპალიტეტი

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ე ბ ი

Vapor Press Deficit [mbar] - წყლის ორთქლის წნევის დეფიციტი (მილიბარი)

Solar Radiation [W/m²] - მზის რადიაცია (ვატი/მ²)

Dew Point [°C] - ნამის წერტილი (°C)

Air Temperature [°C] - ჰაერის ტემპერატურა (°C)

Rain fall [mm] - ნალექი (მმ)

Relative Humidity [%] – ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა (%)

Precipitation [mm] - ნალექი (მმ)

Leaf Wetness [min] - ფოთლის სისველე (წთ)

Wind Direction [deg.] - ქარის მიმართულება (გრად.)

Wind Speed Aver [m/s] - ქარის საშ. სიჩქარე (მ/წ)

Wind Speed Max. [m/s] - ქარის მაქს. სიჩქარე (მ/წ)

Daily ET₀ [mm] - დღიური ET₀ (ევაპოტრანსპირაცია, ჯამური აორთქლება) (მმ)

Water mark [cbar] – ნიადაგის ტენიანობა, გამოსახული წნევის ერთეულებით, (cbar), 30 და 60 სმ სიღრმეზე

Soil Temperature [°C] - ნიადაგის ტემპერატურა (°C), 30 და 60 სმ სიღრმეზე

NDVI (Normalized Difference Vegetation Index) - მცენარეულობის ნორმალიზებული შეფარდებითი ინდექსი, ეს არის ფოტოსინთეზურად აქტიური ბიომასის მარტივი რაოდენობითი მაჩვენებელი (ჩვეულებრივ მას უწოდებენ სპეგეტაციო ინდექსს).

აღნიშნული ინდექსი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ინდექსს და გამოიყენება მცენარეული საფარის რაოდენობრივი შეფასებისთვის.

ობიექტის ტიპი	NDVI-ის მნიშვნელობა
მჭიდრო მცენარეული საფარი	0.7
მეჩხერი მცენარეულობა	0.5
ნიადაგის მოშიშვლებული ზედაპირი	0.025
ღრუბლები	0
თოვლი და ყინული	-0.05
წყალი	-0.25
ხელოვნური მასალები (ბეტონი, ასფალტი)	-0.5